აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი №6

01/09/2020 წელი **ქ. ბათუმი**
14[00] საათი.

სხდომას თავმჯდომარეობდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე პარმენ ჯალაღონია.

სხდომას ესწრებოდნენ: სოფიო კახაძე, ტარიელ გოგიტიძე, ნოდარ მელაძე, ირაკლი გვარჯალაძე, მარიამ გუგუნავა, კობა გაბაიძე და კახაბერ ჯაიანი.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა, მიულოცა პოლიტიკური პარტიის მიერ დანიშნულ უსკოს წევრებს კობა გაბაიძეს და კახაბერ ჯაიანს უსკოს წევრად დანიშვნა და აღნიშნა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის მე-13 მუხლის შესაბამისად, საარჩევნო პერიოდში პარტიების მიერ უსკოს დროებით წევრებს ნიშნავს საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ მე-13 მუხლით გათვალისწინებული პოლიტიკური პარტიები, რომელთა გადაწყვეტილებაც უსკოს წევრის დანიშვნის თაობაზე უნდა წარედგინოს უსკოს არჩევნების დანიშვნიდან არა უგვიანეს 3 კალენდარული დღის ვადაში. პარმენ ჯალაღონიამ კომისიას გააცნო პ/გ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“-ს მიერ უსკოს წევრად დანიშნული წევრი, ბატონი კობა გაბაიძე (უსკოში რეგისტრაციის №01-26/36 თარიღი 01/09/2020 წელი) და პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობი“-ს მიერ დანიშნული უსკოს წევრი ბატონი კახაბერ ჯაიანი (უსკოში რეგისტრაციის №01-26/37 თარიღი 01/09/2020 წელი), რის შემდეგაც, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი

დღის წესრიგის პროექტი:

1. დადგენილება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის არჩევნების გამართვისათვის გამოყოფილი თანხის განაწილებისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ;

2. განკარგულება
საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკის დამტკიცების შესახებ;

3. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარდგენილი კანდიდატებისთვის მხარდამჭერთა ხელმოწერების მინიმალური ოდენობის დადგენის შესახებ;

4. განკარგულება
ნარკოლოგიური შემოწმების უფლების მინიჭების შესახებ;

5. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო საბუთების სახეების დადგენის შესახებ;

6. სხვადასხვა.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 8;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 8 წევრი:)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. დადგენილება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის არჩევნების გამართვისათვის გამოყოფილი თანხის განაწილებისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ;

2. განკარგულება
საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკის დამტკიცების შესახებ;

3. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარდგენილი კანდიდატებისთვის მხარდამჭერთა ხელმოწერების მინიმალური ოდენობის დადგენის შესახებ;

4. განკარგულება
ნარკოლოგიური შემოწმების უფლების მინიჭების შესახებ;

5. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო საბუთების სახეების დადგენის შესახებ.

1. დადგენილება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის არჩევნების გამართვისათვის გამოყოფილი თანხის განაწილებისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს, გააცნო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის არჩევნების გამართვისათვის გამოყოფილი თანხის განაწილებისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტი და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტით მტკიცდება საარჩევნო პერიოდში შრომის ანაზღაურება, არაფინანსური აქტივები, საქონელი და მომსახურება და სხვა ხარჯები რომელიც უნდა გადანაწილდეს საარჩევნო პერიოდში საჭიროებისამებრ.

აზრი გამოთქვეს: კახაბერ ჯაიანმა და პარმენ ჯალაღონიამ.

კახაბერ ჯაიანი დაინტერესდა შრომის ანაზღაურების თანხაში იგულისხმებოდა თუ არა ოლქისა და უბნის წევრების ხელფასებიც.

პარმენ ჯალაღონიამ განმარტა, რომ ამ დადგენილების პროექტით გათვალისწინებულია ოლქისა და უბნის წევრების შრომის ანაზღაურების ხარჯები, რომლის შესახებაც კომისიამ შემდგომ სხდომაზე უნდა იმსჯელოს თუ რა ოდენობის შრომის ანაზრაურებას გასცემს უსკო.

კახაბერ ჯაიანი ასევე დაინტერესდა საარჩევნო პერიოდში რა რაოდენობის დამხმარე ტექნიკური პერსონალის მიღების შესაძლებლობა აქვს უსკოს და მათი აყვანის საკითხი ვის კომპეტენციაში შედის.

პარმენ ჯალაღონიამ განაცხადა, რომ საარჩევნო პერიოდში არჩევნების ჩატარების ორგანიზაციული, სამართლებრივი და ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით უსკოს თავმჯდომარე აფორმებს შრომით ხელშეკრულებას ამა თუ იმ პირთან ხოლო რაც შეეხება რაოდენობას ეს

დამოკიდებულია უსკოს შესაბამისი განყოფილების/დეპარტამენტის საქმიანობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის არჩევნების გამართვისათვის გამოყოფილი თანხის განაწილებისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 8;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 8 წევრი:)

მიღებულია დადგენილება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების გამართვისათვის გამოყოფილი თანხის განაწილებისა და გამოყენების წესი:

შრომის ანაზღაურება _ 1 498 800 ლარი;
საქონელი და მომსახურება _ 791 200 ლარი;
სხვა ხარჯი _ 25 000 ლარი;
არაფინანსური აქტივები _ 5 000 ლარი;
სულ _ 2 320 000 ლარი.

მუხლი 2

ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. განკარგულება
საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს, გააცნო „საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ ამ განკარგულების პროექტით გაწერილია ყველა ვადა და პროცედურა არჩევნების გამოცხადებიდან მის დასრულებამდე.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება „საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 8;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 8 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკი დანართის შესაბამისად.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

(თან ერთვის)

3. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარდგენილი კანდიდატებისთვის მხარდამჭერთა ხელმოწერების მინიმალური ოდენობის დადგენის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს, გააცნო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარდგენილი კანდიდატებისთვის მხარდამჭერთა ხელმოწერების მინიმალური ოდენობის დადგენის შესახებ“ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარდგენილი კანდიდატებისთვის მხარდამჭერთა ხელმოწერების მინიმალური ოდენობის დადგენის შესახებ“ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 8;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 8 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „შ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. დადგინდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის

მიერ შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში კანდიდატის წარსადგენად საჭირო, შესაბამისი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე რეგისტრირებული, მხარდამჭერი ამომრჩევლების ხელმოწერათა მინიმალური ოდენობა დანართის შესაბამისად.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

4. განკარგულება
ნარკოლოგიური შემოწმების უფლების მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს, გააცნო „ნარკოლოგიური შემოწმების უფლების მინიჭების შესახებ“ განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ აჭარის ატონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსგან გვაქვს წარმოდგენილი წერილი, რომელმაც გვაცნობა თუ რომელი დაწესებულებებია უფლებამოსილი უმაღლესი საბჭოს წევრობის კანტიდატებისათვის ჩაატაროს ნარკოლოგიური შემოწმება, რის შემდეგაც კომისიას გააცნო დაწესებულებები:
- სსიპ ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს აჭარის რეგიონალური ექსპერტიზის დეპარტამენტი და შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“ და შესთავაზა ემსჯელათ და მიეღოთ გადაწყვეტილება რომელ დაწესებულებას(ბებს) მიენიჭოს უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის ნარკოლოგიური შემოწმება.

აზრი გამოთქვეს: კახაბერ ჯაიანმა და პარმენ ჯალაღონიამ.

კახაბერ ჯაიანმა აღნიშნა, რომ ის მხარს არ დაუჭერს შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრს“ ვინაიდან ამ დაწესებულებას უცხადებს უნდობლობას.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ განმარტა, რომ კომისიამ გადაწყვიტოს ორივე დაწესებულებას მიენიჭოს ეს უფლება თუ მხოლოდ სსიპ ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს

აჭარის რეგიონალური ექსპერტიზის დეპარტამენტს, რის შემდეგაც კენჭისყრაზე დააყენა „ნარკოლოგიური შემოწმების უფლების მინიჭების შესახებ“ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 7;
წინააღმდეგი 1;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 8 წევრი:)

კომისიამ კენჭისყრის შედეგად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატებისათვის ნარკოლოგიური შემოწმების ჩატარების უფლება მიანიჭა სსიპ ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს აჭარის რეგიონალური ექსპერტიზის დეპარტამენტს და შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრს“.

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „შ[10]“ ქვეპუნქტის, 39-ე, მე-40 მუხლების, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 11/08/2020 წლის №05/2326 წერილის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატებისათვის ნარკოლოგიური შემოწმების ჩატარების უფლება მიენიჭოს:

ა) სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“-ს აჭარის რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტს, მისამართი: ქ. ბათუმი, პ. მელიქიშვილის ქუჩა №102;

ბ) შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრს“ მისამართი: ქ. ბათუმი, ნ. ჯაყელის ქუჩა №102;

2. შესაბამისი საარჩევნო სუბიექტის მიერ უსკოს თავმჯდომარისათვის წარდგენილ პარტიულ სიას, უნდა ერთოდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის თითოეული კანდიდატის ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ ცნობა.

3. პარტიების/საარჩევნო ბლოკების მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარდგენის შემთხვევაში, წარდგენილი უნდა იქნეს კანდიდატის ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ ცნობა.

4. მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის რეგისტრაციაში გასატარებლად ამომრჩეველთა 5-კაციანი საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელმა, შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, კანდიდატის მხარდამჭერ ამომრჩეველთა სიასთან ერთად უნდა წარუდგინოს ცნობა კანდიდატის ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ.

5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატებს ნარკოლოგიური შემოწმების გავლის უფლება აქვთ ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრულ ნებისმიერ დაწესებულებაში.

6. დაევალოთ:

ა) საარჩევნო პროცესების მართვის განყოფილებას (გ. რიჟვაძეს) ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული დაწესებულებებისათვის და საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის გაცნობა;

ბ) საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას (ნ. ნაკაშიძე) ამ განკარგულების საინფორმაციო საშუალებებით გამოქვეყნება.

7. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

8. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

5. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო საბუთების სახეების დადგენის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს, გააცნო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო საბუთების სახეების დადგენის შესახებ“ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო საბუთების სახეების დადგენის შესახებ“ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 8;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 8 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 61-ე მუხლის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. დადგინდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის შემდეგი საარჩევნო საბუთების სახეები თანდართული ნიმუშების შესაბამისად:

ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში პარტიის/ბლოკის წარმომადგენლის მოწმობის სახე;

ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატად წარდგენილი პირის სააღრიცხვო ბარათის სახე;

გ) საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის მხარდამჭერთა სიის ბლანკი სახე;

დ) საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლის მოწმობის სახე.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2020 წლის 10 ივლისის №5 განკარგულების პირველი პუნქტით „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში პარტიის/ბლოკის წარმომადგენლის მოწმობა (ფორმა №6-07.01.02)“.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

4. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

(თან ერთვის)

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ პარმენ ჯალაღონიამ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე **პარმენ ჯალაღონია**

კომისიის მდივანი **სოფიო კახაძე**